რა არის **Drughelp.eu?**

Drughelp.eu არის ონლაინ სერვისი, შექმნილი ადამიანებისთვის, რომლებიც მოიხმარენ ნარკოტიკებს და სურთ უკეთ გაიგონ იმ ზიანის შესახებ, რომელსაც შესაძლოა ნარკოტიკების მოხმარება მათ სხეულს და გონებას აყენებდეს.

Drughelp.eu გთავაზობთ ორ სერვისს: **DUDIT** -ზე დაფუძნებულ კითხვარს, რომელიც ნარკოტიკების მოხმარების დონეს აფასებს და თვითდახმარების ინსტრუმენტს, რომელიც მომხმარებლებს ინფორმაციას აწვდის და ეხმარება მათ, შეიმუშავონ ნარკოტიკების მოხმარების შემცირების გეგმა.

თქვენი ქულაა ***27/44***

სავარაუდო დამოკიდებულება

თქვენ რეგულარულად მოიხმართ ნარკოტიკებს და სავარაუდოდ დამოკიდებული ხართ ერთ ან რამდენიმე ნარკოტიკულ საშუალებაზე. სავარაუდოდ, ნარკოტიკები ძლიერ გავლენას ახდენს თქვენს ცხოვრებაზე და თქვენ განიცდით ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებს თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში.

რა შეგიძლია მოიმოქმედოთ?

რა არის **DUDIT?**

DUDIT – Drug Use Disorders Identification Test - ნარკოტიკული საშუალების მოხმარების აშლილობის იდენტიფიცირების ტესტი - შემუშავებულია ენ ჰ.ბერმანისა და მისი გუნდის მიერ, შვედეთის კაროლინსკას სამეფო ინსტიტუტიდან, AUDIT-ის (ალკოჰოლის მოხმარების აშლილობის იდენტიფიცირების ტესტი) პარალელური ინსტრუმენტის სახით, იმ ადამიანების იდენტიფიცირების მიზნით, რომელთაც ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ. მისი ვალიდურობა შემოწმდა არაერთ სამეცნიერო კვლევაში, ხოლო შედეგების მიხედვით, დადასტურდა მაღალი კორელაცია ნარკოტიკზე რეალურ დამოკიდებულებასთან.

Drughelp.eu შედგება 11 **DUDIT** კითხვისგან და 10 დამატებითი კითხვისგან. მომხმარებელს ეძლევა მასზე მორგებული უკუკავშირი, იმ ქულის მიხედვით, რომელსაც იგი მიიღებს **DUDIT** ტესტში.

DUDIT -ი აფასებს ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ შესაძლო პრობლემებსა და ზიანს. ტესტი ასევე იძლევა რეკომენდაციას, ვის შეიძლება მიმართოთ დახმარებისა და მხარდაჭერისთვის იმ შემთხვევაში, თუ გსურთ შეამციროთ ან შეწყვიტოთ ნარკოტიკების მოხმარება. სერვისი შეიქმნა ექსპერტების ჯგუფის მიერ, რომლებიც მუშაობენ ზიანის შემცირების და მკურნალობის სფეროში და სისტემურად უზრუნველყოფილია ევროპის საბჭოს პომპიდუ ჯგუფის მიერ.

კითხვარი სრულად ანონიმურია და განკუთვნილია მათთვის, ვინც ნაკლებად სავარაუდოა რომ დახმარებისთვის მიმართავს სპეციალისტს. მნიშვნელოვანია იცოდეთ, რომ კითხვარი არ ანაცვლებს შესაბამისი სპეციალისტის მხრიდან ინდივიდუალურ დახმარებას და სპეციალისტის მხარდაჭერა კვლავაც რეკომენდირებულია.

ხელმისაწვდომობა

DUDIT ონლაინ ტესტი ხელმისაწვდომია შემდეგ ენებზე: ინგლისური, ხორვატიული, ბოსნიური, რუმინული, მაკედონიური, ბერძნული, სერბული, მონტენეგრული და ქართული.

Ελληνικά	Hrvatski
Bosanski | Hrvatski | Srpski	Македонски
Crnogorski	Română
Srpski	ქართული
English	

ბექენდი

ვებ-გვერდს აქვს ბექენდი, რომელიც ზიანის შემცირებისა და მკურნალობის სფეროში მომუშავე სპეციალისტებს და მკვლევარებს საშუალებას აძლევს ნახონ შეგროვებული ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილია მარტივ გრაფაში. დაწვრილებითი მონაცემები კი შესაძლებელია ჩამოიტვირთოს ექსელის ფორმატში.

drughelp.eu

DUDIT - ნარკოტიკების მოხმარების რისკის განმსაზღვრელი თვითშეფასების ონლაინ ტესტი

სპეციალური ტესტით, რომელსაც **DUDIT** ჰქვია, **შეგიძლიათ საკუთარი თავის შემოწმება.**

დასაწყებად გადადით მისამართზე *Drughelp.eu* ან დაასკანერეთ QR კოდი

გვერდი ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე.

Pompidou Group
Groupe Pompidou

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE